სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის
2013 წლის 4 ივნისის №30 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის
სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი

28 ნოემბერი 2014 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე: პაატა ჭავჭანიძე - თავმჯდომარის მოადგილე;

კომისიის წევრი: ანდრო ასლანიშვილი – ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი;

კომისიის წევრი: ზაზა სეთურიძე – ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

კომისიის წევრი: ლევან მეხუზლა – ანალიზისა და სტრატეგიული დეპარტამენტის უფროსი;

სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული სპეციალისტი: რევაზ სიჭინავა - მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველი

კომისიის აპარატის წევრები:

პაატა ნარიმანიძე – შესყიდვების კოორდინატორი;
ეკატერინე ნაცვლიშვილი – იურიდიული სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

დღის წესრიგი:
სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს საოფისე ფართში განთავსებული სამუზეუმო-საექსპოზიციო სივრცის მოწყობის მიზნით შესაბამისი არქიტექტურული კონცეფციის (პროექტის) შექმნისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსის (CPV 71200000) შედეგების განხილვა.

მოისმინეს:
კომისიის აპარატის ინფორმაცია იმის შესახებ, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს საოფისე ფართში განთავსებული სამუზეუმო-საექსპოზიციო სივრცის მოწყობის მიზნით შესაბამისი არქიტექტურული კონცეფციის (პროექტის) შექმნისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში საკონკურსო წინადადება (ტექნიკური დოკუმენტაციის კონვერტი და ფინანსური წინადადების კონვერტი) დადგენილ ვადაში დალუქული პაკეტით წარმოადგინა ერთმა ორგანიზაციამ: შპს „TOURBILLION - ტურბილიონი“

საკონკურსო დოკუმენტაციის საკონკურსო პირობების მე-6 მუხლის შესაბამისად 2014 წლის 28 ნოემბერს 13:00 საათზე, მისამართზე თბილისი, დ. გამრეკელის ქ. N 3, მე-4 სართული, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს სათათბირო ოთახში კონკურსანტის თანდასწრებით გაიხსნა ტექნიკური დოკუმენტაციის კონვერტი.

განხილვის შედეგად დადგინდა, რომ შპს „TOURBILLION - ტურბილიონი“-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეესაბამება საკონკურსო დოკუმენტაციის მე-5 მუხლის 5.2.1 ქვეპუნქტით დადგეილ მოთხოვნებს.

საკონკურსო კომისიამ დაადგინა:

1. კონკურსანტის შპს „TOURBILLION - ტურბილიონი“-ს ტექნიკური წინადადების განხილვისა და შეფასების ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს ამა წლის 2 დეკემბერი.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

პაატა ჭავჭანიძე

კომისიის წევრები:

ანდრო ასლანიშვილი

ზაზა სეთურიძე

ლევან მეხუზლა

კომისიის აპარატის წევრები:

პაატა ნარიმანიძე

სხდომის მდივანი - ეკატერინე ნაცვლიშვილი